ურთიერთგაგების მემორანდუმი
სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციასა და სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიას შორის

სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია (CELA), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის თამარ ქარაიას სახით და სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, წარმოდგენილი მისი რექტორის პოლკოვნიკ ზაზა ჯაფარიძის სახით, ვდებთ ურთიერთგაგების მემორანდუმს, რათა ხელი შევუწყოთ აკადემიის იუნკერების სამოქალაქო კომპეტენციის ამაღლებას და სამოქალაქო განათლების კურსის ლექტორების პროფესიულ ზრდას.

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანს წარმოადგენს ასოციაციასა და აკადემიას შორის (შემდგომში „მხარეები") ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა მემორანდუმით გათვალიწინებული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია მხარეების თანამშრომლობის გზით სამოქალაქო განათლების სწავლების ხელშეწყობა და გაძლიერება, აკადემიის იუნკერების ჩართულობა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში. მემორანდუმის პირობების თანახმად, მხარეები ითანამშრომლებენ სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამის დანერგვის, მონიტორინგისა და შეფასების, სამოქალაქო განათლების ლექტორთა პროფესიული განვითარებისა და სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობების კუთხით, ასევე კურსისა და მასალების შემდგომი დახვეწის მიზნით, რომელიც თავდაპირველად შემუშავებულ იქნა

საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებული პროექტის "ნდობის გაზრდა საარჩევნო პროცესებისადმი" (ITEP) ფარგლებში. თანამშრომლობის მიზანია იუნკერების განათლების განვითარების ხელშეწყობა აკადემიაში სამოქალაქო განათლების კურსის "დემოკრატია და მოქალაქეობა" დანერგვის გზით, ასევე, ლექტორების უნარების განვითარება მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობების ცოდნისა და თეორიული კონცეფციების რეალურ ცხოვრებაში გამოყენებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის.

მუხლი 3. ასოციაციის ვალდებულებები

ასოციაცია იღებს ვალდებულებას, აკადემიას საჭიროებისამებრ, გაუწიოს დახმარება შემდეგ საკითხებში:

ა) გადაამუშაოს კურსის „დემოკრატია და მოქალაქეობა" სილაბუსი აკადემიის სასწავლო პროგრამის შესაბამისად;

ბ) მიაწოდოს ლექტორებს კურსის სწავლებისათვის საჭირო როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი საკითხავი მასალა ბეჭდური ან ელექტრონული სახით;

გ) გადაამზადოს აკადემიის მიერ შემოთავაზებული ლექტორები სამოქალაქო განათლების სწავლების მეთოდებში, უზრუნველყოს ტრენინგების, სემინარებისა და შეხვედრების ლექტორებისთვის ჩატარება, მიაწოდოს საჭირო ინსტრუქციები, მეთოდოლოგიური ლიტერატურა და სხვა საჭირო ინფორმაცია, რაც საგნის ეფექტიანად სწავლებისათვის არის აუცილებელი;

დ) მიაწოდოს აკადემიას ინფორმაცია სამოქალაქო განათლების სფეროში საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებასთან დაკავშირებით.

მუხლი 4. აკადემიის ვალდებულებები

აკადემია გამოხატავს მზადყოფნას ასოციაციას საჭიროებისამებრ, გაუწიოს დახმარება შემდეგ საკითხებში:

ა) მოახდინოს სამოქალაქო განათლების კურსის „დემოკრატია და მოქალაქეობას" სწავლება საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) და ქართველი და ამერიკელი ექსპერტების მიერ შემუშავებული და ასოციაციის მიერ შეთავაზებული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ბ) შესთავაზოს ასოციაციას ლექტორები, რომლებიც სწავლების მეთოდებში გადამზადების შემდეგ ჩაერთვებიან აკადემიაში კურსის „დემოკრატია და მოქალაქეობას" სწავლებაში. ასევე, უზრუნველყოს აღნიშნული ლექტორების

ასოციაციის მიერ კურსის ეფექტიანად სწავლების მიზნით ორგანიზებულ ტრენინგებზე, სემინარებსა და სხვა ღონისძიებებზე დასწრება;

გ) ითანამშრომლოს ასოციაციასთან კურსის სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებისა და განვითარების მიმართულებით;

დ) მოახდინოს თითოეულ სემესტრში ასოციაციის ინფორმირება კურსის დანერგვასთან დაკავშირებულ გეგმებთან დაკავშირებით.

მუხლი 5. სტანდარტული პირობები

ა) მხარეები ინარჩუნებენ თავიანთ განსაკუთრებულ მისიებსა და მანდატებს და საკუთარ ანგარიშვალდებულებას. მხარეებს შორის თანამშრომლობა, რაც ასახულია წინამდებარე მემორანდუმში, არ განიხილება, როგორც ვალდებულებები, წარმოშობილი იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს შორის. წინამდებარე მემორანდუმის არცერთი პირობა არ განიხილება, როგორც სხვა შეთანხმებების ან ხელშეკრულებების ნაწილი და არ ცვლის მათ პირობებს არც ამ მემორანდუმის ხელმოწერამდე და არც მისი ხელმოწერის შემდეგ;

ბ) თითოეული მხარე პასუხს აგებს იმ ხარჯებზე, რომლებიც წარმოიშობა იმ საქმიანობების განხორციელებისას, რაც განსაზღვრულია წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული პროგრამებით. ყველა ასეთი დანახარჯის და საქმიანობის განხორციელება დამოკიდებულია თითოეული მხარის გამგებლობაში არსებულ დაფინანსებაზე. მხარეები აცნობიერებენ, რომ წინამდებარე მემორანდუმი არ წარმოშობს სხვა სახის ფინანსურ ვალდებულებებს, არც სამართლებრივი შედეგის მქონე ვალდებულებებს ან სხვა უფლებებსა და ვალდებულებებს მესამე პირების წინაშე;

გ) საჭიროების შემთხვევაში, წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის საფუძველზე;

დ) წინამდებარე მემორანდუმი არ წარმოადგენს საერთაშორისო შეთანხმებას ან ხელშეკრულებას და არ წარმოშობს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ რაიმე სახის უფლებებსა და მოვალეობებს;

ე) მემორანდუმის მოქმედების ვადა და ძალაში შესვლა: წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და უნდა განხორციელდეს მანამ, ვიდრე ერთ-ერთი მხარე წერილობით არ აცნობებს მეორე მხარეს მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შეწყვეტის სურვილის შესახებ;

ვ) ასოციაციის მიერ წინამდებარე მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დამოკიდებულია დონორი ორგანიზაციების, კერძოდ საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს უწყვეტ ფინანსურ მხარდაჭერაზე.

დონორებს არ ეკისრებათ სამართლებრივი ვალდებულებები წინამდებარე მემორანდუმით;

ზ) მემორანდუმი ხელმოწერილია 2018 წლის 13 აპრილს ექვს თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, სამი ქართულ ენაზე, სამი ინგლისურ ენაზე, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება ხელმომწერ მხარესთან.

სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია (CELA)

_____

თამარ ქარაია, აღმასრულებელი დირექტორი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

_____

პოლკოვნიკი ზაზა ჯაფარიძე, რექტორი

ადასტურებს:

საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) წარმომადგენლობა საქართველოში

_____

ქეთევან მაისურაძე, პროექტის ხელმძღვანელი

Memorandum of Understanding

between the Civic Education Lecturers Association and

LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

The Civic Education Lecturers Association (CELA), represented by its Executive Director Tamar Karaia and LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, represented by its Rector Colonel Zaza Japaridze, sign this Memorandum of Understanding (MOU) to promote the enhancement of civic competencies amongst the Academy Junkers and ensure professional growth of the educators of civic education course.

Article 1. Subject of the MOU

The subject of the MOU is cooperation between the Association and the Academy (together referred to as "the Parties") based on respect and mutual understanding in order to achieve the goals elucidated in the MOU.

Article 2. Purpose of the MOU

The purpose of the MOU is to promote and strengthen civic education through cooperation between the Parties, engage Junkers in democratic development of the country. According to the MOU provisions, the Parties will cooperate in establishing a civic education teaching program, monitoring and evaluation of the program, support

increased capacity of lecturers and implement various civic activities, refine curricula and other course material, which was initially developed by the International Foundation for Electoral Systems (IFES) through the project "Increased Trust in the Electoral Processes" (ITEP) financed by the United States Agency for International Development (USAID). The goal of this cooperation is to enhance Junkers education by establishing the civic education course "Democracy and Citizenship" at the Academy, and build the capacity of educators to effectively convey to Junkers knowledge of citizens' responsibilities and as well as application of theoretical concepts in a real-world context.

Article 3. Responsibilities of the Association

The Association takes responsibility as needed to assist the Academy to:

a) Conduct syllabus modification of the course "Democracy and Citizenship" in accordance with the Academy's teaching program;

b) Provide lecturers with civic education course teaching materials, including main and supplementary reading published or in electronic format;

c) Train lecturers nominated by the Academy in preferred civic education teaching methods, provide them with trainings, seminars and meetings, necessary course instructional and methodological materials, and other information relevant to successfully deliver the subject matter to Junkers;

d) Provide the Academy with access to information about best local and international civic education practices.

Article 4. Responsibilities of the Academy

The Academy takes responsibility as needed to assist the Association to:

a) Deliver the course "Democracy and Citizenship" according to methodology designed by IFES and Georgian and American experts suggested by the Association;

b) Present to the Association lecturers who will be trained in the course teaching methods after which they will be involved in delivering the "Democracy and Citizenship" course at the Academy. Also, the Academy will provide the participation of its lecturers in the trainings, seminars and other events organized by the Association;

c) Cooperate with the Association in elaboration and development of the course teaching and evaluation methodology;

d) Inform the Association of plans for course implementation each semester.

Article 5. Standard Provisions

a) The Parties intend to maintain their own unique missions and mandates, and their own accountabilities. The cooperation between the Parties as outlined in this MOU is not to be considered or construed as a partnership or other type of legal entity or personality. Nothing in this MOU should be construed as superseding or interfering in any way with agreements or contracts entered into between the Parties, either prior to or subsequent to the signing of this MOU;

b) Each Party is to be fully responsible for expenses it incurs related to activities conducted in connection with the programs described herein, and all such expenses and activities are subject to the availability of funds to each party. The Parties acknowledge that this MOU does not constitute or effect either an expenditure or an obligation of funds, nor does it constitute a legally binding commitment by either party or create any rights in any third party;

c) Additions and/or modifications may be introduced into or appended to this MOU as needed, upon the written mutual consent of the Parties;

d) This MOU is not an international agreement and does not create any rights or responsibilities under international law;

e) Period and effective date of the MOU: This MOU is intended to be effective upon signature and to be implemented until one of the Parties notifies the other Party in writing of its desire to discontinue this MOU.

f) Association's fulfillment of responsibilities of the present MOU depends on continued financial support from donor agencies such as the International Foundation for Electoral Systems and the United States Agency for International Development. Donors have no legal obligations under this MOU;

g) The MoU is signed on April 13, 2018 and is executed in six equally authentic originals, three in Georgian and three in English. Each copy will be kept by each signing party.

For the Civic Education Lecturers Association (CELA)

Tamar Karaia, Executive Director

For LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Colonel Zaza Japaridze, Rector

In witness whereof:

For the International Foundation for Electoral Systems (IFES) Representative Office in Georgia

Ketevan Maisuradze, Chief of Party